ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №15

18 ნოემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გიორგი შარაშიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: N12-03223196103)
მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
თანამომხსენებელი: ლევან მიქავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032231425-03; 10.11.2022).
მომხსენებელი: ირაკლი გვილავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი" ითვალისწინებს

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნების გაზრდას. დედაქალაქის საბიუჯეტო პოლიტიკისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება განათლებისა და კულტურის სფეროების მხარდაჭერა, რისთვისაც თბილისის 2023 წლის ბიუჯეტში მობილიზებულია შესაბამისი ასიგნები, რაც უზრუნველყოფს კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების წარმატებით განხორციელებას.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს, გაიოზ თალაკვაძეს, რომლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 438 775,2 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 133 357,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა – 415 096,4 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება – 223 813,7 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 169 251,7 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა – 1 879,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 38 696,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 144 160,7 ათასი ლარი;
- განათლება – 224 917,8 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 43 031,4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 6 436,8 ათასი ლარი.
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 171 490,9 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 383 675,2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 838 867,6 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 588 867,6 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 40 998,2 ათასი ლარით). საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 208 000,0 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 34 000,0 ათასი ლარით); ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 26 000,0 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 6 000,0 ათასი ლარით); მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილში, გაიოზ თალაკვაძის განცხადებით, განათლება დაიგეგმა – 224 917,8 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 16 309,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 187 300,0 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება

დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: დასრულდება 10 ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია, გაგრძელდება 2 ახალი ბაღის მშენებლობა), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა, ხოლო **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** – 43 031,4 ათასი ლარით. 2023 წელს გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (მათ შორის ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის რევაზ ლაღიძის სახელობის N4 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები), მუზეუმების გაერთიანების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ილია ჭავჭავაძის და მერაბ კოსტავას სახელობის მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და აღჭურვა). ასევე, გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

განათლების სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა“ (კოდი 07 01 02) –187,300.0 ათასი ლარი;
- „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01) – 100.0 ათასი ლარი;
- „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“ (კოდი 07 03 03) – 4,117.8 ათასი ლარი;
- „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) – 250.0 ათასი ლარი;
- „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“ (კოდი 07 05) – 3,968.0 ათასი ლარი;
- „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01) – 235.0 ათასი ლარი;
- „იურიდიული კლინიკა“ (კოდი 07 05 02) – 733.0 ათასი ლარი;
- „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) – 3,000.0 ათასი ლარი;
- „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა“ (კოდი 07 06 01) – 3,263.2 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარებისთვის საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- „თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 01) – 3,129.2 ათასი ლარი. მათ შორის, „ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი" (კოდი 08 01 01) – 747.5 ათასი ლარი, „პანტომიმის სახელმწიფო თეატრი" (08 01 02) – 464.9 ათასი ლარი, „თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი" (08 01 03) – 1,023.4 ათასი ლარი, „სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი“ (08 01 05) – 529.7 ათასი ლარი, „სამეფო უბნის თეატრი" (08 01 08) – 363.7ათასი ლარი;
- „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 02) – 2,913.6 ათასი ლარი;
- „ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“ (კოდი 08 03) – 3,955.6 ათასი ლარი. მათ შორის, „ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“ (კოდი 08 03 10) – 175.3 ათასი ლარი, „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 12) – 3,780.3 ათასი ლარი;
- „ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“ (კოდი 08 04) – 2,131.8 ათასი ლარი. მათ შორის, საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (კოდი 08 04 01) – 697.7 ათასი ლარი, „ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“ (კოდი 08 04 03) – 384.1 ათასი ლარი, „კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04) – 1,050.0 ათასი ლარი;
- „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) – 3,000.0 ათასი ლარი;
- „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი 08 09) – 1,000.0 ათასი ლარი;
- „თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“ (კოდი 08 12) –506.4 ათასი ლარი;
- „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13) –100.0 ათასი ლარი.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, კახაბერ ლაბუჩიძის განმარტებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან მიმართებით კომისიას შენიშვნები არ აქვს, თუმცა რეკომენდაციებს შემდეგი მიმართულებით წარმოადგენს:

I. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს მუზეუმების, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და სახლების და ბიბლიოთეკების მოდერნიზების პროცესის გაგრძელებას, მათი ფუნქციონირებისა და საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას; ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლასა და დაცვას. ***განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, რომ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობის (კოდი 07 03 03) მიზნით, ბიუჯეტში მოხდეს დამატებითი ასიგნების გამოყოფა (500 000 ლარის მოცულობით), რომლითაც შესაძლებელი იქნება გლდანის N18 და დიღმის მასივში მდებარე ლადო ასათიანის სახელობის ბიბლიოთეკების და ზღვისუბნის მედიათეკის თანამედროვე სტანდარტით ინვენტარიზაცია და მათი წიგნადი ფონდით შევსება.*** საჭირო სუბსიდიების გამოყოფის შემთხვევაში, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკის გაერთიანებას შესაძლებლობა ექნება განახორციელოს მომსახურების

სერვისების გაუმჯობესება, კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება და ახალი თაობის წიგნით დაინტერესება.

II. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს ***კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის (კოდი 08 04 04) დამატებითი ასიგნების გამოყოფას, რითაც შესაძლებელი იქნება რევაზ ლაღიძის სახელობის მე-4 ხელოვნების სკოლის და ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის მე-19 ხელოვნების სკოლის გარემონტება. კომისია რეკომენდაციას უწევს მოხდეს აღნიშნულ საბიუჯეტო კოდში 1 000 000 ლარით ასიგნების ზრდა.*** აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს შეუფერხებლად განახორციელოს ინფრასტრუქტურული პროექტები.

III. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს ***მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის მიზნებისთვის (კოდი 08 03 12) მოხდეს შესაბამისი თანხების გამოყოფა თბილისის საკრებულოს შენობაში თოჯინების მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართობის სამუზეუმო სივრცედ მოსაწყობად/აღსაჭურვად.*** მუზეუმი მთლიანად ადაპტირდება და ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა საჭიროების ადამიანებისთვის. თბილისის ცენტრში, საკრებულოს ისტორიულ შენობაში განთავსებულ თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმს შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება, როგორც ახალგაზრდა თაობისთვის, ასევე დედაქალაქის სტუმრებისათვის.

IV. განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს ***პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი“ (08 09) შენარჩუნდეს საბაზისო მაჩვენებელი 1 100 000 ლარის მოცულობით.*** აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედაქალაქში საგამომცემლო საქმიანობის, დიზაინისა და რეწვის, აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისა და ვიზუალური ხელოვნების განვითარებისთვის, შემოქმედებითი ინდუსტრიის, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სახელოვნებო ჯგუფების პოპულარიზაციისთვის. პროგრამა ხელს შეუწყობს შემოქმედებითი მეწარმეობის გაძლიერებას, სხვადასხვა დისციპლინისა და დარგის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნასა და საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას.

V. საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს ***დედაქალაქისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საბიუჯეტო კოდში „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 08 05) მოხდეს 2 000 000 ლარის გამოყოფა.*** გასული წლ(ებ)ის ბიუჯეტით, თვალსაჩინოა, რომ აღნიშნულ მუხლში, ინტენსიურად ხდება ცვლილებების შეტანა, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა არ არის საკმარისი პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის, იმდენად, რამდენადაც დედაქალაქში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობისთვის, საერთაშორისო/ადგილობრივი ფესტივალების გაძლიერებისთვის, თბილისის დამეგობრებულ ქალაქებთან და დედაქალაქისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქებთან კულტურის სხვადასხვა სფეროს ღონისძიებების ორგანიზებისთვის, დამოუკიდებელი რეჟისორების, სხვადასხვა თეატრის, თეატრალური და სახელოვნებო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების ხელშეწყობისთვის, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და რელიგიური ღონისძიებების მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი თანხის მობილიზება. აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისა და

კულტურის სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლების მხარდაჭერა სწორედ ამ საბიუჯეტო კოდიდან ხორციელდება.

VI. *განათლებისა და კულტურის კომისია ასევე რეკომენდაციას უწევს დამატებითი ასიგნების გამოყოფას სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის პროექტირებისთვის (კოდი 08 01 01) – 160000 ლარის ოდენობით; პანტომიმის სახელმწიფო თეატრის პროექტირებისთვის (კოდი 08 01 02) – 500 000 ლარის ოდენობით და გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის დასისთვის (კოდი 08 12) – 204000 ლარის ოდენობით,* რათა მოხდეს ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების სრულყოფილად ფუნქციონირება, შესაბამისი პირობების შექმნა (მათ შორის რეპერტუარის განახლების, სადადგმო, ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა ხარჯების დაფარვა); თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელშეწყობა, მუნიციპალური თეატრებისა და თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის მოპოვებას და მის მიმართ დაინტერესების ზრდას.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (წერილი: №12-032231961-03; 15.11.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (წერილი: №12-032231961-03; 15.11.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (წერილი: 12-032231425-03; 10.11.2022).

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სტატუსის ფარგლებში იმყოფებოდა მექსიკის ქალაქ გვადალაჰარაში, სადაც მასპინძელი ქვეყნისგან არაერთგზის აღინიშნა, რომ თბილისი საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ქვეყნებმა წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი. აღსანიშნავია, რომ თბილისმა უმაღლეს დონეზე შეძლო წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსით პოზიციონირება, არამხოლოდ მუნიციპალურ დონეზე, არამედ საერთაშორისო თვალსაზრისით.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ირაკლი გვილავას, რომლის განცხადებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის № 20.1688.2074 განკარგულებით დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ (ს/ნ 402176943), რომლის მიზანს წარმოადგენდა პროექტის „თბილისი-UNESCO-ს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“ განხორციელება. UNESCO-ს გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისი 2021 წლის 23 აპრილიდან 2022 წლის 23 აპრილამდე იყო წიგნის მსოფლიო დედაქალაქი. ***ამ დროისთვის პროექტი დასრულებულია, შესრულებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) მიერ პროექტის ფარგლებში ნაკისრი ყველა ვალდებულება.***

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, 2022 წლის 13 ოქტომბერს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N 10/01222862816-01 განცხადება, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქმა“ (ს/ნ 402176943), პროექტის ფარგლებში ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა, არ აქვს ქონება, არ აქვს ვალდებულებები სახელმწიფოსა და ფიზიკური/იურიდიული პირების წინაშე. შესაბამისად, პროექტი დასრულებულია და მზადაა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის № 20.1688.2074 განკარგულებით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ვადად განისაზღვრა პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენა, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბერი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა, დეტალური ანალიზის შემდეგ კი, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინეს: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა